“მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა”
საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

გზამკვლევი

უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი ირინე დარჩია

თბილისი
2009

This project has been funded with support from the European Commission. This publication reflects the views only of the author, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

სარჩევი

Table of Contents

წინასიტყვაობა 4

შესავალი 5

თავი I 8

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის საჭიროების დასაბუთება 8

თავი II 10

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები 10

თავი III 15

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ხარისხის უზრუნველყოფა 15

- დანართი 1 17
- დანართი 2 18
- დანართი 3 20
- დანართი 4 22
- დანართი 5 23
- დანართი 6 30

წინასიტყვაობა

ტემპუსის ეროვნული ოფისის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა.
უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტები, ტემპუსის ფინანსური მხარდაჭერით, უზრუნველყოფენ კონსულტაციებს როგორც ეროვნულ, ასევე ინსტიტუციურ დონეზე შემდეგ სფეროებში:

- (შიდა და გარე) ხარისხის უზრუნველყოფა
- უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა
    - კურიკულუმის განვითარება
    - კვალიფიკაციების ეროვნული და ევროპული ჩარჩოები (NQF/EQF)
    - თუნინგი
- აღიარება
    - ECTS
    - დიპლომის დანართი
    - აღიარების ლისაბონის კონვენცია

კონსულტაციებისა და საჯარო პრეზენტაციების გარდა, ექსპერტთა მუშაობის ერთ-ერთ ფორმატს წარმოადგენს რეკომენდაციების შემუშავება უმაღლესი განათლების რეფორმის კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

წინამდებარე გზამკვლევი გთავაზობთ კონკრეტულ რეკომენდაციებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში პროგრამების მომზადებისა და განხორციელების შესახებ.

Foreword

One of the specific objectives of National Tempus Office is support of Higher Education Reform in Georgia. Higher Education Reform Experts (HERE) provide counseling on institutional and national level on the following areas:

- Quality Assurance (internal and external)
- The Three Cycle System
    - curricular reform
    - National and European Qualification Frameworks (NQF/EQF)
    - Tuning
- Recognition
    - ECTS
    - Diploma Supplement
    - Lisbon Recognition Convention

Despite counseling and public presentations, one of the formats of HERE activities is development of guides on specific issues of HE reform.
The present guide offers concrete recommendations regarding development and implementation of LLL programmes at higher Education institutions.

შესავალი

წინაპირობები „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს განათლების სისტემამ და, კერძოდ, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, არაერთი ძირეული ცვლილება განიცადეს, რომლებიც საქართველოში ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას, საბჭოთა კავშირის დაშლას, დამოუკიდებლობის აღდგენას, მთელ რიგ საზოგადოებრივ–პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, დაბოლოს, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციას, ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციას უკავშირდება.

2004 წელს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს ახალი კანონის მიღების შემდეგ, 2005 წელს დაწყებული რეფორმების შედეგად, რადიკალურად შეიცვალა უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემა, საბაზო დაფინანსებიდან მოხდა ე. წ. ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა, შემოღებულ იქნა სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა, დაინერგა ECTS კრედიტები, შემცირდა სასწავლო კურსების ხანგრძლივობა, მოხდა მათი ოპტიმიზაცია, მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა დასაქმებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებზე, გაიზარდა პრაქტიკის როლი და მნიშვნელობა. გაიზარდა სტუდენტთა მობილობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. საქართველოს უნივერსიტეტები თანდათან იძენენ ე. წ. „ევროპულ განზომილებას“.

აღნიშნული სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებები, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ტექნოლოგიური პროგრესი, ინსტიტუციური აკრედიტაციის მიუხედავად, საქართველოს უნივერსიტეტების მზარდი რაოდენობა, დაფინანსების არსებული სისტემა, სტუდენტთა მზარდი მობილობა და გაზრდილი ინტერესი შრომის ბაზარზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების მიმართ (რაც თანხების ასიმეტრიულ აკუმულირებას იწვევს), უნივერსიტეტებს უქმნის დაძაბულ კონკურენტულ გარემოს და მათ დამატებითი შემოსავლების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმების გზების ძიებისკენ უბიძგებს.

გარდა ამისა, 2005 წელს ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, ბოლონიის პროცესის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია მოახდინონ, რომელთაგან „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ (Lifelong Learning), უწყვეტი განათლება (Continuing Education) ერთ–ერთი უმთავრესი და იმავდროულად საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ერთ–ერთი პირობაა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების ფართო ფენების, სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფების მომსახურება, მათთვის „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“, უწყვეტი განათლების პირობების შექმნა საქართველოს უნივერსიტეტებისთვის ერთ–ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, ანუ საქართველოს უნივერსიტეტებში არსებულ ვითარებას უწყვეტი განათლების იმპელემენტაციის თვალსაზრისით, შესაბამისი კვლევა არც რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის, არც არასამთავრობო ორგანიზაციის და არც თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჯერ არ ჩატარებულა.

აღსანიშნავია, რომ სრული მასშტაბით არც ბოლონიის პროცესის მონაწილე სხვა ევროპულ უნივერსიტეტებში არ ხდება უწყვეტი განათლების პოლიტიკის შემუშავების, მისი იმპლემენტაციისა და კონკრეტული საგანმანათლებლო ღონისძიებების სისტემური და სისტემატური მონიტორინგი, შესწავლა და შეფასება.

გარკვეული, თუმცა არასრული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი გახდა 2009 წლისათვის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ–გვერდების საშუალებით.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში სახელმწიფოს მიერ აღიარებული (აკრედიტებული და ახლად ლიცენზირებული) 60 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მხოლოდ 3 უსდ–ს, ანუ 5 %–ს აქვს ვებ–გვერდზე განთავსებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, 5 უსდ–ს, ანუ 8 %–ს აქვს ვებ–გვერდზე მისია, 4 უსდ–ს, ანუ 6 %–ს აქვს უწყვეტ და/ან ზრდასრულთა განათლებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, 3 უსდ–ს, ანუ 5 %–ს აქვს ასახული უწყვეტი, ზრდასრულთა განათლება, სასერტიფიკატო კურსები მისიასა და/ან სტრატეგიაში, 8 უსდ, ანუ 13 % ახორციელებს ზრდასრულთა განათლების, სასერტიფიკატო კურსებს, ხოლო 8 უსდ–მ, ანუ 13 %–მა წარადგინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამები სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის მიზნით.

ევროპულ მაჩვენებლებთან შედარებით ეს, მართლაც, საგანგაშო მონაცემებია და ცხადყოფს, რომ თუმცა საქართველოში 2005 წლიდან წარმატებულად დაიწყო ბოლონიის პროცესის იმპლემენტაცია, დღემდე მისი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი – „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ხელშეწყობა უნივერსიტეტების მიერ – ფაქტობრივად იგნორირებულია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ნეგატიური ფონის მიუხედავად, 2009 წელს ერთმა პოზიტიურმა ტენდენციამ იჩინა თავი: სახელმწიფო მხრიდან ინტერესის არსებობამ და დაფინანსების პერსპექტივამ, როგორც ჩანს, გააძლიერა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოტივაცია, რომ მოემზადებინათ მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამები. დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში, კერძოდ, ექვსი თვის განმავლობაში – ანუ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცებიდან, 2008 წლის სექტემბრიდან სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში პროგრამების წარდგენის ბოლო ვადამდე, 2009 წლის თებერვლამდე – რვა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ აკრედიტაციის მიზნით მასწავლებლის პროფესიული განვითარების ათობით პროგრამა წარადგინა, რაც საკმაოდ დამაიმედებელი ფაქტია.

ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ როგორც სახელმწიფოს, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან მიზანმიმართული საგანმანათლებლო პოლიტიკის არსებობის პირობებში, დაინტერესებული მხარეების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ბიზნესის სექტორის, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი ძალისხმევით სიტუაცია შეიძლება ხანმოკლე პერიოდშიც სასიკეთოდ შეიცვალოს.

რაც შეეხება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სასერტიფიკატო კურსების შინაარსს, ის, ძირითადად, უცხოური ენების სწავლებით, მედიცინის, სამართლისა და ეკონომიკის მიმართულებით პროფესიული განვითარების კურსებით შემოიფარგლება. შედარებით მრავალფეროვანია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ შეთავაზებული პროფესიული განვითარების პროგრამა: ვიდეოდოკუმენტალისტიკა, ფოტოჟურნალისტიკა, საზაფხულო სკოლა უსაფრთხოებასა და დიპლომატიაში, ტურიზმის განვითარება და სასტუმროების მენეჯმენტი, ღონისძიებათა მენეჯმენტი, ზოგადი მენეჯმენტი, ქალაქის მართვა და განვითარება, ჯანდაცვის სამართალი, კომუნიკაციის მენეჯმენტი, მაკროეკონომიკის საწყისები და სხვ.

როგორც სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, საქართველოში არსებობს წინაპირობები, არსებობს მოთხოვნილება უნივერსიტეტებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ განსავითარებლად, მაგრამ საქართველოს ცალკეული უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს აქვს სპორადული, არასისტემური ხასიათი. საჭიროა ღონისძიებათა ფართო სპექტრის გატარება როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე არასამთავრობო სექტორისა და, რაც მთავარია, თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან.

საქართველოში არსებული პრობლემები. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციას გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის შემდეგი ფაქტორები:

ა) ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ფინანსური პრობლემები;

ბ) როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის (წვრილი და მსხვილი ბიზნესის) მხრიდან ინვესტიციების არარსებობა საქართველოს უნივერსიტეტებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ მასშტაბური იმპლემენტაციის დასაწყებად;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მისიაში, სტრატეგიასა და ბიუჯეტში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ფაქტობრივი იგნორირება;

დ) სტატისტიკური მონაცემების, უნივერსიტეტებში არსებული ვითარებისა და ბაზრის კვლევის არარსებობა;

ე) უნივერსიტეტებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ განსავითარებლად საჭირო საგანმანათლებლო პროგრამების, კურსების შემუშავების, საზოგადოების სპეციფიკური ჯგუფებისათვის სწავლების მეთოდოლოგიის არარსებობა (არ ვიცით ან ცუდად ვიცით, ვის, რა და როგორ ვასწავლოთ).

თავი I

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის საჭიროების დასაბუთება

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის მიზანი: ლოკალური და რეგიონული მოთხოვნების დაკმაყოფილება, საქართველოს ცალკეული რეგიონების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების, ევროინტეგრაციის ხელშეწყობა; საქართველოს უნივერსიტეტებში ზრდასრულთა განათლების პერსპექტივის განვითარება და მათი გარდაქმნა „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ დაწესებულებებად.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის ამოცანები:

ა) ბოლონიის პროცესის ერთ–ერთი ძირითადი პრინციპის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, საქართველოს უნივერსიტეტების ინტეგრაციას საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში;

ბ) უნივერსიტეტების ეკონომიკური გაძლიერება დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენით;

გ) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმების ხელშეწყობა;

დ) საზოგადოების ფართო ფენების მომსახურებით უნივერსიტეტის როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება;

ე) საქართველოს მოქალაქეების დასაქმებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფებისთვის ზრდასრულთა განათლების, სპეციალობის შეცვლის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული განვითარების შესაძლებლობით;

ვ) რეგიონის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშეწყობა;

ზ) საქართველოს უნივერსიტეტების კურიკულუმის შემდგომი რეფორმირება, სწავლების ფორმებისა და მეთოდების ადაპტაცია „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ მოთხოვნებისადმი;

თ) საზოგადოების (მათ შორის საუნივერსიტეტო წრეების) დამოკიდებულების შეცვლა ზრდასრულთა განათლების მიმართ.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის მოსალოდნელი შედეგები:

ა) მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, ევროპული გამოცდილების გაზიარება და ზრდასრულთა განათლების სფეროში ევროპული Know How–ს დანერგვა, საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს უნივერსიტეტების ინტეგრაციის დაჩქარება;

ბ) საქართველოს უნივერსიტეტების შემოსავლების ზრდა, რაც პოზიტიურად უნდა აისახოს მათ მატერიალურ–ტექნიკურ ბაზაზე, სწავლებისა და კვლევის ხარისხზე.

გ) საქართველოს უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

დ) საზოგადოებაში უნივერსიტეტების მიმართ ნდობის, მათი გავლენის გაძლიერება;
ე) საქართველოს მოქალაქეების დასაქმების მაჩვენებლის ზრდა;
ვ) რეგიონის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
ზ) საუნივერსიტეტო კურიკულუმის, სწავლების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, მათი მოდერნიზაცია;
თ) გარდატეხა საზოგადოების ცნობიერებაში – ზრდასრულთა განათლების სფეროს პრესტიჟის ამაღლება;

უნივერსიტეტებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ დეფინიცია. საერთაშორისო პრაქტიკის, ევროპის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელის (EUCEN) მიერ განხორციელებული პროექტებისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ უნდა განისაზღვროს როგორც: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლის შესაძლებლობების (საშუალებების), მომსახურებისა და კვლევის უზრუნველყოფა ადამიანთა ფართო სპექტრის პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე, საზოგადოებისა და რეგიონის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური წინსვლისთვის. უნივერსიტეტში „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ ეფუძნება კვლევას, კონცენტრირებულია, ძირითადად, მსმენელთა საჭიროებებზე, ხორციელდება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით და გარეშე ფაქტორების გათვალისწინებით“.

თავი II

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები

სტრატეგია. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იმსჯელონ ზრდასრულთა განათლების საუნივერსიტეტო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისი მმართველი ორგანოებისა და პასუხისმგებელი პირების მხრიდან სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა“ უნდა აისახოს დაწესებულების მისიაში, სტრატეგიული განვითარების გეგმასა და ბიუჯეტში. შესაძლებელია „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ დამოუკიდებელი სტრატეგიის შემუშავებაც, დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე. სასურველია განისაზღვროს შესაბამისი სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმებელი პირი (სტრუქტურული ერთეული) (იხ. დანართი 1).

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა გაეცნონ „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ბოლონიის პროცესის შესაბამის სარეკომენდაციო დოკუმენტებს. მათი ანალიტიკურად გააზრების შემდეგ უნდა მოხდეს შესაბამისი უნივერსიტეტისთვის მისაღები რეკომენდაციების გათვალისწინება და ასახვა მის მისიაში, სტრატეგიაში, ბიუჯეტსა და სამომავლო საქმიანობაში (იხ. დანართი 2).

ბაზრის კვლევა. საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურების მიერ განხორციელებულ კვლევებში და, თავიანთი ადამიანური და მატერიალური რესურსების ფარგლებში, თავადაც უნდა აწარმოონ ბაზრის კვლევა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნესის სექტორის, ადგილობრივი თვითმმართველობის, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და სხვ. თანამშრომლობით.
კვლევის შედეგების გათვალისწინება უნდა მოხდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მათ მისიაში, სტრატეგიასა და ბიუჯეტში, უწყვეტი განათლების განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსსა და სტრუქტურაში.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ განვითარების მიზნით, საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გააღრმავონ საერთაშორისო თანამშრომლობა, უნდა იზრუნონ სხვადასხვა საერთაშორისო (ევროპული) პროექტების განხორციელებასა და შესაბამისი გრანტების მოზიდვაზე, რასაც მოჰყვება დასავლური გამოცდილების გაზიარება, დასავლური Know How–ს, დასავლური სტანდარტების დანერგვა, დამატებითი თანხების მოზიდვა, ზრდასრულთა განათლების ხარისხის ამაღლება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობას პარტნიორ დასავლურ უნივერსიტეტებთან, იმ ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კავშირებთან და ქსელებთან, რომლებიც უნივერსიტეტებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ სტრატეგიულ დაგეგმვას, განხორციელებასა და განვითარებას ემსახურება (იხ. დანართი 2).

ადგილობრივი თანამშრომლობის გაღრმავება. საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იზრუნონ თანამშრომლობის გარღმავებაზე ბიზნესის სექტორთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან და ასოციაციებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მათი აქტიური ჩართვით უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო პოლიტიკის შექმნაში, თეორიული და პრაქტიკული პრობლემების მოგვარებაში, დაფინანსების მოძიების, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
გარდა ამისა, საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ სფეროში ერთმანეთთან კოორდინირებული საქმიანობა, ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში.
სასურველია შეიქმნას საქართველოს უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს ანალოგიური ევროპული და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციფიკის გათვალისწინებით. მომავალში შესაძლებელი უნდა გახდეს ევროპული უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელში გაერთიანება (European University Continuing Education Network - www.eucen.org).

საინფორმაციო უზრუნველყოფა. საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ როგორც შიდასაუნივერსიტეტო, ისე ფართო საზოგადოების ინფორმირებას „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციისთვის გაწეული საქმიანობის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულების, კურსების) შესახებ.
საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თავიანთ ვებ–გვერდზე საგანგებო ადგილი უნდა დაუთმონ „მთელის სიცოცხლის მანძილზე სწავლასთან“ დაკავშირებულ საკითხებს, საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებას, ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის, შესაბამისი კურსების, პროგრამების რეკლამას და სხვ.
ინფორმაციის სისტემატური გავრცელება უნდა მოხდეს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, ინტერნეტის საშუალებით, სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების, პრეს–კონფერენციების ორგანიზებით, საინფორმაციო ბროშურების, ლიფლეტების დამზადებითა და გავრცელებით.

დაფინანსება. საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა საწყის ეტაპზე უნდა უზრუნველყონ უწყვეტი განათლების იმპლემენტაციისთვის საჭირო თანხების მოძიება, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების, სპონსორებისა და საერთაშორისო დონორების მოზიდვა. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციაზე დახარჯული თანხები და უწყვეტი განათლების ეფექტურად წარმართვის შედეგად მიღებული შემოსავლები უნდა აისახოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტში.

ადმინისტრირება. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ორგანიზაციული მხარე. შესაძლოა,

ადმინისტრირებას ახდენდეს უწყვეტი განათლების/„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ სპეციალური დეპარტამენტი, ერთი ან რამდენიმე ფაკულტეტი, უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის რომელიმე სტრუქტურული ერთეული. შესაძლებელია, „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლასთან“ დაკავშირებული საორგანიზაციო და კონცეპტუალური საკითხები ფაკულტეტებმა და ცენტრალურმა ადმინისტრაციამ ერთობლივად, თანამშრომლობის საფუძველზე, ფუნქციების შესაბამისი გადანაწილებით მოაგვარონ.

სწავლება. უწყვეტი განათლების განვითარების მიზნით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულები, კურსები) უნდა იყოს მრავალფეროვანი და მოქნილი. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პროცესთან, საგანმანათლებლო პროგრამებთან (მოდულებთან, კურსებთან), სწავლების ფორმებთან და მეთოდებთან დაკავშირებით უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტორები:

1. შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულები, კურსები) უნდა იყოს მრავალფეროვანი შინაარსობრივად და სტრუქტურულად.
2. უნდა ითვალისწინებდეს სამიზნე ჯგუფის პროფესიულ და პიროვნულ ინტერესებს, ბაზრის მოთხოვნებს.
3. გათვლილი უნდა იყოს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე, სხვადასხვა ასაკის, სოციალური ფენისა და განათლების პირებზე (საზოგადოების ფართო ფენების ჩართვის მიზნით);
4. გათვლილი უნდა იყოს როგორც შესაბამისი კვალიფიკაციის არქმონე პირებზე (დამწყებთა კატეგორიაზე), ისე უკვე კვალიფიციურ კადრებზე და მიზნად უნდა ისახავდეს მათ პროფესიულ განვითარებას.
5. შეიძლება ემსახურებოდეს არა მხოლოდ სამიზნე ჯგუფის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებას, არამედ მათი ინტელექტუალური მოთხოვნებისა და ინტერესების (ჰობის) დაკმაყოფილებას.
6. სწავლების ხანგრძლივობა და ფორმები უნდა იყოს მრავალფეროვანი. მაგალითად, სრულ– ან ნახევარგანაკვეთიანი (full-time/part-time) სწავლება, მოკლევადიანი (15 დღეზე ნაკლები ხანგრძლივობის) ან გრძელვადიანი (15 დღეზე მეტი ხანგრძლივობის) კურსები, საღამოს საათებში სწავლება, დისტანციური, ელექტრონული სწავლება და სხვ.
7. საგანმანათლებლო კურსები (მოდულები, კურსები) შეიძლება ინტეგრირებული იყოს ძირითად (ე. წ. mainstream) საგანმანათლებლო პროგრამაში, ან – მისგან დამოუკიდებლად იყოს შეთავაზებული.
8. საგანმანათლებლო პროგრამას (მოდულს, კურსს) სასურველია მინიჭებული ჰქონდეს ECTS კრედიტები, როგორც განათლების აღიარების და ზოგადად ბოლონიის პროცესის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.
9. საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) სწავლის შედეგები სასურველია აღწერილი იყოს დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით, რაც განათლების აღიარების და ზოგადად ბოლონიის პროცესის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.
10. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ეგიდით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდული) შეიძლება ანიჭებდეს ან არ ანიჭებდეს გარკვეულ კვალიფიკაციას.
11. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძლება იღებდეს: ა) ცნობას; ბ) სერტიფიკატს; გ) დიპლომს; დ) აკადემიურ ხარისხს (თუ საქართველოში დაინერგა არაფორმალური გზით მიღებული განათლების აღიარების სისტემა).
12. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ფარგლებში უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ფართო საზოგადოებას უნდა შესთავაზონ როგორც თეორიული, ისე პროფესიული პროფილის ისეთი სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც სპეციალობის

(კვალიფიკაციის) შეცვლის, ან დამატებითი კვალიფიკაციის მოპოვების საშუალებას იძლევა.

13. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ფარგლებში უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ფართო საზოგადოებას უნდა შესთავაზონ პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც გამარტივებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ გარკვეული პროფესიის დაუფლების საშუალებას იძლევა შედარებით ხანმოკლე პერიოდში.
14. ბაკალავრიატის დონეზე „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის თვალსაზრისით ინოვაციური მიდგომები ევროპულ უნივერსიტეტებშიც ძალიან იშვიათად გვხვდება, მაგრამ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასურველია დაიწყოს მსჯელობა, დისკუსია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
15. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ეგიდით უნდა მოხდეს უკვე არსებული პროგრამების (მოდულების, კურსების) მოდიფიცირება (საჭიროების შემთხვევაში) და/ან ახალი პროგრამების (მოდულების, კურსების) შემუშავება და ამოქმედება.
16. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ეგიდით შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულები, კურსები) მსმენელებს სწავლების განსხვავებულ მეთოდებს უნდა სთავაზობდეს სამიზნე ჯგუფის სპეციფიკის (ასაკის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების, ინტერესების) გათვალისწინებით.

შიდასაუნივერსიტეტო უწყვეტი განათლება. უწყვეტი განათლების განვითარების მიზნით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულები, კურსები) შეიძლება განკუთვნილი იყოს უნივერსიტეტის გარეთ საზოგადოებისთვის, ან თავად შიდა საუნივერსიტეტო მოხმარებისათვის.

შიდა (კორპორაციული) უწყვეტი განათლება მიზნად ისახავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სამსახურში ახლადაყვანილი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ პიროვნულ და პროფესიულ ზრდას, რისი შედეგიც სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება, მომსახურების გაუმჯობესებაა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას შეიძლება შემდეგი საგანმანათლებლო კურსები ემსახურებოდეს: სწავლების თანამედროვე მეთოდები, კვლევის თანამედროვე მეთოდები (დარგების მიხედვით), უცხო ენები (მათ შორის დარგობრივი ტერმინოლოგია), კომპიუტერული წიგნიერება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებასა და კვლევაში, ელექტრონული კურსების მომზადება (moodle და სხვ.), კურიკულუმის, სილაბუსის შემუშავება, სწავლის შედეგების აღწერა დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით, კრედიტების სისტემა, ბოლონიის პროცესი, მეცნიერების მენეჯმენტი, პროექტების წერა და სხვ.

ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის შესაძლებელია შემდეგი ტრენინგების შეთავაზება: მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგი, დროის მენეჯმენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, კომუნიკაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, აკადემიური წერა, უცხო ენები, დოკუმენტაციის მომზადება ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციისთვის და სხვ.

„უწყვეტი განათლება“ ფართო საზოგადოებისათვის. საქართველოში არსებული საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე უსდ–მ ფართო საზოგადოებას შეიძლება შესთავაზოს გარკვეული დარგობრივი და/ან ზოგადი უნარების (კომპეტენციების) განმავითარებელი მოკლე და გრძელვადიანი კურსები/ტრენინგები/პროგრამები. კერძოდ, შემდეგ სფეროებში: საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხო ენები (მათ შორის ლათინური ენა მათთვის, ვისაც გერმანიის უნივერსიტეტებში სურს სწავლის გაგრძელება და ამისათვის სჭირდება ლათინური

ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი), ე. წ. დარგობრივი ენა (ტერმინოლოგია), ეკონომიკა და განსაკუთრებით ბიზნესის ადმინისტრირება (საბუღალტრო, საბანკო, საბაჟო საქმე, ზოგადი მენეჯმენტი, ტურიზმი და სხვ.), სტატისტიკა, სამართალმცოდნეობა (ცალკეული დარგობრივი კურსი დამატებითი კვალიფიკაციის მოსაპოვებლად), ჟურნალისტიკა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, დიპლომატია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სწავლების და კვლევის თანამედროვე მეთოდები (დარგების მიხედვით) და სხვ.
გარდა ამისა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და სოციალური ფენებისათვის შესაძლებელია შეთავაზებულ იქნას ისეთი კურსები/ტრენინგები/პროგრამები, რომლებიც ემსახურება მხოლოდ ზოგად განათლებას, ამა თუ იმ ადამიანის პირადი ინტელექტუალური ინტერესისა თუ „ჰობის“ დაკმაყოფილებას. კერძოდ, შემდეგ სფეროებში: ხელოვნება, მუსიკა, თეატრი, კინო, ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კულტურა, სპორტი და სხვ.

თავი III

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები და მექანიზმები. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პროგრამების (მოდულების, კურსების) განხორციელებისას, საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა კარგად უნდა გაიაზრონ, რომ ეს მათი კურიკულუმის ნაწილია და, ამდენად, საგანგებო ზომები უნდა მიიღონ უწყვეტი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

თითოეულმა უმაღლესმა საგანმანთლებლო დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს და აამოქმედოს „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პროგრამების (მოდულების, კურსების) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უწყვეტი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ადმინისტრირება უნდა მოახდინოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაბამისი ფაკულტეტის (ფაკულტეტების) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პროგრამების (მოდულების, კურსების) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) შემუშავების ინსტრუქცია (იხ. დანართი 3) და მისი დამტკიცების პროცედურა (იხ. დანართი 4);
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები (იხ. დანართი 5);
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის (მოდულის, კურსის) შემუშავებასა და მის შემდგომ სრულყოფაში დაინტერესებული პირების/მხარეების, პოტენციური მსმენელებისა და დამსაქმებლების, პროფესიული ორგანიზაციების მონაწილეობას;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პროგრამის (მოდულის, კურსის) განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) გავლის დამადასტურებელი ცნობის/სერტიფიკატის/დიპლომის გაცემის წესი და სანდო აღრიცხვიანობის მექანიზმები;
- უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს და სისტემატურად იყენებს უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) მსმენელთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარებს (იხ. დანართი 6).

უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) შეფასება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების გამოყენებით:

- პროგრამის (მოდულის, კურსის) გავლის მსურველთა/მსმენელთა/ კურსდამთავრებულთა რაოდენობა;

- პროგრამის (მოდულის, კურსის) შესაბამისობა მისი შემუშავების მოთხოვნებთან (ინსტრუქციასთან);
- პროგრამის (მოდულის, კურსის) შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორების, მსმენელთა გამოკითხვის კითხვარების არსებობა;
- პროგრამის (მოდულის, კურსის) შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა;
- პროგრამის (მოდულის, კურსის) განმახორციელებელი ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის (მოდულის, კურსის) მიზნებთან;
- პროგრამის (მოდულის, კურსის) მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროგრამის (მოდულის, კურსის) მიზნებთან;
- პროგრამის (მოდულის, კურსის) გავლის დამადასტურებელი ცნობის/სერტიფიკატის/დიპლომის გაცემის წესის და სანდო აღრიცხვიანობის მექანიზმების არსებობა და სხვ.

აკრედიტაციას უნდა დაექვემდებაროს „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ის საგანამანთლებლო პროგრამები (მოდულები, კურსები), რომელთა წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება გარკვეული კვალიფიკაცია.

დანართი 1

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (LLL)“ სტრატეგიის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა (ნიმუში)[1]

კონკრეტული აქტივობა	პასუხისმგებელი ორგანო (პირი)	დაფინანსების წყარო	ვადები
უნივერსიტეტის მისიაში LLL–ის ასახვა			
LLL–ის სტრატეგიის შემუშავება			
LLL–ის სტრატეგიის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება			
ბაზრის კვლევა (სხვა უნივერსიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)			
LLL–ის პროგრამების წარმოდგენის, დამტკიცების მოთხოვნებისა და პროცედურების შემუშავება			
LLL–ის პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება			
LLL–ის პროგრამების შემუშავება და დამტკიცება უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ			
LLL–ის პროგრამების სარეკლამო კამპანიის წარმოება			
LLL–ის პროგრამების შიდა და გარე შეფასება მათი ხარისხის ამაღლების მიზნით			
შიდა საუნივერსიტეტო LLL–ის პროგრამების შემუშავება და ამოქმედება			
და სხვ.			

[1] მოცემულია მხოლოდ ცალკეული აქტივობები, რომელთა განხორციელება სასურველია „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ უსდ–ში იმპლემენტაციისათვის.

დანართი 2

უნივერსიტეტებში მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციები

ევროპაში უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო პოლიტიკას, ძირითადად, ორი მსხვილი ორგანიზაცია წარმართავს:

- ევროპის უნივერსიტეტების ქსელი „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ (European University Lifelong Learning Network: www.eullearn.net);
- ევროპის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელი (EUCEN – European University Continuing Education Network: www.eucen.org).

საერთაშორისო მასშტაბით უნდა აღინიშნოს შემდეგი ამერიკული და კანადური ორგანიზაციები:

- უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების კანადური ასოციაცია (CAUCE – Canadian Association for University Continuing Education: http://cauce-aepuc.ca);
- უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ასოციაცია (UCEA - University Continuing Education Association: www.ucea.edu).

გარდა ამისა, ევროპის უნივერსიტეტებში უწყვეტი განათლების, „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ სტრატეგიულ დაგეგმვას, განხორციელებასა და განვითარებას შემდეგი ეროვნული ორგანიზაციები, კავშირები და ქსელები ემსახურება:

- ავსტრიის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლებისა და პერსონალის განვითარების ქსელი (AUCEN – Austrian Universities Continuing Education and Staff Development Network: www.aucen.ac.at),
- უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ესტონური ქსელი (ENUCE – Estonian Network for University Continuing Education: www.ut.ee/en/aveng/national/eatk_eng),
- უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელი ფინეთში (UCEF – University Continuing Education Network in Finland: www.dipoli.tkk.fi/uce/english/index.html), უნივერტიტეტების უწყვეტი განათლების ცენტრების დირექტორთა კონფერენცია (CDSUFC – Conference of Directors of UCE centres: www.fcu.fr),
- უნივერსიტეტების უწყვეტი და დისტანციური განათლების გერმანული ასოციაცია (DGWF - German Association for University Continuing and Distance Education www.dgwf.net),
- მთელი სიცოცხლის მანძილზე უმაღლესი განათლების ირლანდიური ქსელი (HELLIN - Higher Education Lifelong Learning Irish Network: www.eucen.org/NatNets/hellin.html),
- უწყვეტი განათლების იტალიური ქსელი (Italian Network for CE: www.eucen.org/NatNets/index.html),
- ლიტვის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელი (L3Net - Lithuanian Unviersities Continuing Education Network: www.eucen.net/NatNets/L3Net.html),
- უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების პორტუგალიური ასოციაცია (AUPEC - Portuguese Association for Unviersity Continuing Education: www.aupec.up.pt),
- პოსტდიპლომური და უწყვეტი განათლების ქსელი ესპანეთში (RUEPEC - University Network of Graduate and CE Network: www.ruepec.org),
- უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების კატალონური ასოციაცია (ACECU - Catalan Association of University CE: www.eucen.org/NatNets/acecu.html),
- შვედური უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ასოციაცია (Swissuni - Association of Swiss University Continuing Education: www.swissuni.ch),
- უმაღლეს განათლებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნგრული ქსელი (MELLearN – Hungarian Higher Education Learning Network: www.mellearn.hu).

გაერთიანებულ სამეფოში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების განვითარებაზე ზრუნვას სამი ორგანიზაცია ემსახურება:

- უნივერსიტეტების ასოციაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის (UALL - Universities Association for Lifelong Learning: www.uall.ac.uk),
- ფორუმი უწყვეტი განათლების პროგრესისათვის (FACE - Forum for the Advancement of Continuing Education: www.f-a-c-e.org.uk),
- შოტლანდიური უნივერსიტეტების ასოციაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის (SUALL - Scottish Universies Association for LLL: www.suall.org.uk).

დანართი 3

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ კონტექსტში საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) ანოტაცია[2]

I. ზოგადი ინფორმაცია:

პროგრამის სახელწოდება: (*მიუთითეთ კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების შესაბამისი სასერტიფიკატო კურსის, მოდულის, ტრენინგის და სხვ. სახელწოდება*)

პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) რაოდენობის მითითებით:

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა:

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები (*გთხოვთ, დანართის სახით წარმოადგინოთ მათი CV–ები*):

პროგრამის ხელმძღვანელი (*გთხოვთ, დანართის სახით წარმოადგინოთ მისი CV*):

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი:

პროგრამის ღირებულება:

პროგრამის შემუშავების თარიღი:

II. პროგრამის შინაარსი და მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

პროგრამის მიზნები და ამოცანები:

პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები (*აღწერეთ დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით*):

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (*მიუთითეთ ძირითადი საკითხები, მათი განაწილება დროში, ლიტერატურა*):

#	საკითხები	ლიტერატურა

[2] სასურველია აღნიშნული ანოტაციის დამტკიცება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ.

მონაწილეთა შეფასების სისტემა:

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:

დანართი 4

„მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL)" საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) დამტკიცების პროცედურა (სსიპ უსდ–ს მაგალითზე)[3]

1. LLL–ის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უსდ–ს სრული, ასოცირებული, ასისტენტ პროფესორი, მასწავლებელი, მოწვეული პედაგოგი.

2. LLL–ის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს უსდ–ს სრულმა, ასოცირებულმა, ასისტენტ პროფესორმა, დოქტორანტმა, ან მოწვეულმა პედაგოგმა, რომელსაც აქვს LLL საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის, სწავლების, კვლევის ან მუშაობის გამოცდილება.

3. LLL–ის საგანმანათლებლო პროგრამას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი და იგი განიხილება უსდ–ს შესაბამისი ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, მიმართულება და ა. შ.), ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის (მოწვეული პედაგოგების) სხდომაზე. გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უბრალო უმრავლესობით. პროგრამის შეჯერებული ვარიანტი, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია, შედგენილი უსდ–ს მოთხოვნების შესაბამისად, განსახილველად გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ტექნიკურ მონიტორინგს და აკადემიურ ექსპერტიზას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გადაწყვეტილებას იღებს უსდ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით. ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს. სადაო საკითხებს წყვეტს აკადემიური საბჭო.

5. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და მას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

6. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა უსდ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას უსდ–ს ვებ-გვერდზე.

7. LLL–ის საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უსდ–ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

8. უსდ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალება ამ საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური მონიტორინგი და მათი შეფასების საფუძველზე შესაბამისი დასკვნების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა ფაკულტეტებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

[3] სასურველია აღნიშნული პროცედურის დამტკიცება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ.

დანართი 5

„მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL)" საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) შეფასების ფორმა და კრიტერიუმები (სსიპ უსდ–ს მაგალითზე)[4]

პროგრამის სახელწოდება:	
პროგრამის ხელმძღვანელი:	

1. წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე

შევსებულია ყველა პუნქტი	
არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	
ბოლომდე არ არის შევსებული შემდეგი პუნქტები	

<u>მიუთითეთ, რომელი პუნქტ(ებ)ია შესავსები</u>

_____

_____

2. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

შეესაბამება პროგრამის მიზნებს	
არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს	

„შესაბამისობაში" იგულისხმება: სამეცნიერო / აკადემიური ხარისხი, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კვლევისა და სწავლების გამოცდილება

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

3. პროგრამაში მონაწილე პედაგოგების რაოდენობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

უსდ–ს აკადემიური პერსონალი	

[4] სასურველია აღნიშნული ფორმისა და კრიტერიუმების დამტკიცება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ.

მოწვეული, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ლექტორი	
დოქტორანტი (დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს აქვს პროგრამის მიზნების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, სწავლებისა და კვლევის, სახელმძღვანელოების შექმნის გამოცდილება)	
მონაწილე პედაგოგების საერთო რაოდენობა	

4. პროგრამაში მონაწილე პედაგოგების კვალიფიკაცია

შეესაბამება პროგრამის მიზნებს	
არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს	

„შესაბამისობაში“ იგულისხმება: სამეცნიერო / აკადემიური ხარისხი, საგანმანათლებლო
პროგრამის მიზნების შესაბამისი მუშაობის, კვლევისა და სწავლების გამოცდილება

<u>კომენტარი:</u>
_____

_____

5. პროგრამაში ჩართვის წინაპირობა

მითითებულია სწორად	
სწორად მითითებული არ არის	

<u>კომენტარი:</u>
_____

_____

6. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

მითითებულია სწორად	
სწორად მითითებული არ არის	

<u>კომენტარი:</u>
_____

_____

7. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათების (შინაარსის) დამაჯერებლობა (ივსება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამას აფასებს და ფორმას ავსებს შესაბამისი დარგის სპეციალისტი)

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია კარგად (მითითებულია, თუ რაში ამზადებს პროგრამა მონაწილეს)	
პროგრამის მიზნები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის (არ არის მითითებული, თუ რაში ამზადებს პროგრამა მონაწილეს)	
პროგრამის ამოცანები ჩამოყალიბებულია კარგად (მითითებულია კონკრეტულად რა ცოდნასა და უნარ–ჩვევების განვითარებას ისახავს პროგრამა მიზნად)	
პროგრამის ამოცანები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის (არ არის მითითებული კონკრეტულად რა ცოდნასა და უნარ–ჩვევების განვითარებას ისახავს პროგრამა მიზნად)	
პროგრამის მოსალოდნელი შედეგები – დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარები – ჩამოყალიბებულია კარგად	
პროგრამის მოსალოდნელი შედეგები – დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარები – მკაფიოდ განსაზღვრული არ არის	
პროგრამის სტრუქტურა (მასალა თემატურად და ყველა აქტივობა) წარმოდგენილია	
პროგრამის სტრუქტურა (მასალა თემატურად და ყველა აქტივობა) წარმოდგენილი არ არის	
პროგრამის შინაარსი (ძირითადი თემები და საკითხები) წარმოდგენილია	
პროგრამის შინაარსი (ძირითადი თემები და საკითხები) წარმოდგენილი არ არის	
სასწავლო გეგმა (მოდულების / კურსების მოცულობა და დროში განაწილება) წარმოდგენილია	
სასწავლო გეგმა (მოდულების / კურსების მოცულობა და დროში განაწილება) წარმოდგენილი არ არის	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

8. შესაბამისობა პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს შორის

სრული შესაბამისობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შეესაბამება	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

9. შესაბამისობა პროგრამის სტრუქტურასა და სწავლის შედეგებს შორის

სრული შესაბამისობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შეესაბამება	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

10. ECTS კრედიტები

პროგრამაში სწორად არის განაწილებული	
პროგრამაში სწორად არ არის განაწილებული	
სასწავლო კურსებს / მოდულებს სწორად აქვთ მითითებული	
სასწავლო კურსებს / მოდულებს სწორად არ აქვთ მითითებული	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

11. დასახელებული სახელმღვანელოები

ხელმისაწვდომია	
არ არის ხელმისაწვდომი	
მითითებულია თანამედროვე სახელმძღვანელოები	
მითითებულია მოძველებული სახელმძღვანელოები	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

12. მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას	
ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

13. ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას	
ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

14. მონაწილეთა შეფასების სისტემა

მითითებული შეფასების ინდიკატორები და შეფასების მეთოდი	
შეფასების ინდიკატორები და შეფასების მეთოდი მითითებული არ არის	
მითითებულია შეფასების კომპონენტების ზუსტი წილი	
შეფასების კომპონენტების ზუსტი წილი მითითებული არ არის	
მითითებულია შეფასების ვადები	
შეფასების ვადები მითითებული არ არის	
მითითებულია პროგრამის / მოდულის დასრულების წინაპირობა	
პროგრამის / მოდულის დასრულების წინაპირობა მითითებული არ არის	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

15. სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები

მითითებულია სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები (წიგნადი ფონდი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, კონსულტაციები და სხვ.)	
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები მითითებული არ არის	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

16. სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები

მითითებულია	
არ არის მითითებული	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

17. პროგრამის შემუშავების პროცესი

პროგრამა განხილულია საჯაროდ დარგის სპეციალისტების, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით	
პროგრამა საჯაროდ განხილული არ არის	
წარმოდგენილია პროგრამის საჯარო განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგალითად, სხდომის ოქმი)	
პროგრამის საჯარო განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის	
პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სამიზნე ჯგუფის, პროფესიული კავშირების, პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებები	
წარმოდგენილია დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგალითად, სხდომის ოქმი, სამიზნე ჯგუფის, პროფესიული კავშირების, პოტენციური დამსაქმებლების წარმომადგენლების წერილობითი დასკვნები და სხვ.)	
დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

_____

18. <u>შემაჯამებელი კომენტარები / რეკომენდაციები (გთხოვთ, კიდევ ერთხელ მიუთითოთ ყველა შენიშვნა, კომენტარი თუ რეკომენდაცია):</u>

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

_____

_____

19. <u>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა</u>

პროგრამას ეძლევა რეკომენდაცია ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე	
პროგრამას ეძლევა რეკომენდაცია ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე, მაგრამ მომავალში სასურველია პროგრამის შემდგომი სრულყოფა (მე–18 პუნქტში განმარტეთ)	
პროგრამას ეძლევა რეკომენდაცია ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე გარკვეული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ (მე–18 პუნქტში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები და მათი გათვალისწინების ვადა)	
პროგრამას არ ეძლევა რეკომენდაცია (მე–18 პუნქტში დაასაბუთეთ)	

შემმოწმებლის ხელმოწერა:

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

უსდ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი 6

უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის, კურსის) მსმენელთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარი (ნიმუში)[5]

1. როგორია თქვენი ზოგადი მოსაზრება პროგრამის შესახებ – 1 – დან 5 ბალამდე შკალაზე ? (1- უარყოფითი, 5 - ძალიან კარგი)

   1 2 3 4 5

2. როგორ შეაფასებდით პროგრამის ცალკეულ ნაწილებს?

   1 2 3 4 5

3. რომელი თემები იყო ყველაზე სასარგებლო და საინტერესო?

_____
_____

4. რომელი თემები იყო ყველაზე ნაკლებად სასარგებლო და საინტერესო?

_____
_____

5. რომელი აქტივობა იყო სასარგებლო?

_____
_____

6. რომელი აქტივობა იყო ნაკლებად სასარგებლო?

_____
_____

7. სასარგებლო იყო თუ არა პროგრამის მასალები 1-დან 5 ბალამდე შკალაზე?

   1 2 3 4 5

8. იყო პროგრამა ძალიან ხანმოკლე ან ძალიან ხანგრძლივი?

9. თქვენი აზრი ტრენერების შესახებ? (1-დან 5 ბალამდე)

1 2 3 4 5

[5] სასურველია აღნიშნული ფორმისა და კრიტერიუმების დამტკიცება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ.